

თეატრი და სხორება

ავტორთა სალიტერატურო "ქრანალი"

კვირა, 7 თებერვალი
№ 6 — 1916

ფასი
10 კ.

წელიწადი
მ ე ო თ ხ ე

მიიღება ხელსაწილი 1916 წ. შურ.
თეატრი და ცხოვრება
(წელიწადი მეოთხე. (იხ. მე-2 გვ.)

ს ხ ბ ლ გ ა ზ დ ა მ ხ ა ხ ი ო ბ ნ ი



(მათი ბუნდუვისი ქუთაისში 11 თებერ.)

უკვე იბეჭდება
ვევლახათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

უცხო სიყვანთ

სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორედ შეესებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული). წიგნი ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათა გან (ფრანგულ, ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ხალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებმძივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკარის ყდაში, მოოქოვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც იხურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით ღირს ორი (2) მანათი (ფულის გადახდა შელავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნი გამოსვლის ჟამს ახალ ხელისმომწერთათვის 2 მან 50 კა.)

ხელის მოწერა მიიღება: ეურ. "თეატრი და ცხოვრების" რედაქციაში „სორაპანი“ (სტამბაში). ფოსტით: Тифлисъ. Ред. „Театри да Цховреба“ Иос. Имедашвили.

1916 მიწილება ხელის მოწერა 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარსის სურათმზინანი ეურნალი იუმორისტული განყოფილებით, შარყებით და კარიკატურებით

წალიწადი
მომთხე

თეატრი და ცხოვრება

წალიწადი გამოსცემისა მომთხე

წლიურად
5 მან.
ნახ. წლ.
8 მან.

1916 წელსაც გამოცემა

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმოხვეკილ და ახალ-გაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

ეურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებიხა

ეურნალში ხუთბასამდე სურათი დაიბეჭდება

ფახი: წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს—2 მ. მისში—2 მ. ენკენისთვის 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში (მადათოვის კუნძ. № 1, ვორონცოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ფოსტით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“— Иос. Имедашвили.

ტილფფონი № 15—41.

რედაქტორ-გამომცემედი ანნა იმედაშვილისა



№ 6

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“ის სტამბაში. მისამართი: Тиф-ლისь, Ред. „Театри да Цховреба“ I. Име-დაшвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდე-ბა.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შეს-წორდება.—რედაქტორთან პირისპირ მო-ლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

შვილიშადი
მ მ მ თ ხ მ

№ 6

კვირა, 7 თებერვალი

1916 წ.

7 თებერვალი

წუნია პატარძლები

გინახავთ, თუ არა ისეთი პა-ტარძლები, ერთმანეთისა რომ არაფერი მოსწონთ, არც თვი-თონ შეუძლიანთ გააკეთონ რამე და მუდამ ტუჩაბზეკილინ არიან, ანუ ისეთი საცოლე, რომელიც მეზობლის ქალს არ მოიყვანს, რად-გან ერთი-ორჯელ ფეხშიშველა უნახავს...

სწორედ ასეთ წუნია პატარძლებს მოგვა-გონებს ჩვენი საზოგადოების დიდი უმეტე-სობა...

უცხო ნიადაგზე აღზრდილი, სხვა სულ-შთაბერილი საზოგადოების ნაწილი რომ გა-ურბის სამშობლო თეატრს, მიუხედავად იმი-სა, რომ ჩვენი მსახიობნი არც ისე დასაწიხლ-ნი არიან და ხშირად ხელოვნების უმაღლეს საფეხურზედაც შედგებიან ხოლმე; რომ ეს გადაგვარებული ნაწილი სამშობლო გაზეთებს არ ეტანება, თუმცა ეს გაზეთები, სხვებთან შედარებით, დაბლა არ სდგას და გაცილებით სრული, ჩვენი ქირ-ვაების სწორე გამომხატ-ველია,—ამას ვინ არ შეეჩვია, მაგრამ გულ-საკლავი ის არის, რომ ჩვენი ეროვნული სა-განმანათლებლო საზოგადოებანი საქველმო-ქმედო მიზნით წარმოდგენის გასამართავად უცხო დასთ მიმართავენ ხოლმე, უცხოურ გადაღეპილ წარმოდგენას შეისყიდიან და, ბი-ლეთების ძალით გასყიდვით,—რა თქმა უნდა, განსაკუთრებით ქართველთა შორის,—თეატრს საზოგადოებით გაავსებენ...

ასეთი მოქირისუფლენი ივიწყებენ, რომ

ერთი ხელით აშენებულს მეორით ამხობენ,— რომ ისედაც გადაგვარებულ საზოგადოებას გადაშენებისკენ უთითებენ, სამშობლო ხე-ლოვნებაზე გულს უტრუებენ...

მარტო ის არა კმარა საქველმოქმედო მი-ზნით ფული მობოკო, საჭიროა ასეთ შემთ-ხვევებში საზოგადოებრივ განვითარებასა და სამშობლო ხელოვნების წინსვლასაც ხელი შეუწყოს...

უთანაგრძნობლობა ჰკლავს კაცსა, ხა-ლისს უკარგავს...

თუ გვსურს ყოველივე ჩვენმა ფრთა გა-შალოს, თვით უნდა ხელი შეუწყოთ ყოვე-ლის მხრით...

ზ ა მ თ ა რ ი

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 3—5)

მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა.

ერთბაშათ ჩამოთბა; შავი ღრუბლები წამოიგრაგნენ და თოვლის მაგიერათ წვიმა წამოვიდა!

მეორე დღეს ცა გადიწმინდა; მზე საა-მურად იჭყიტებოდა და ათამაშდა, თოვლი დადნა. მხოლოდ აქა-იქ სახლის ბანებზე ნა-პირებში ყინულის ლოლუები დარჩენ.

— აი ღმერთმა კი დასწყევლოს აქაური ამინდი, ჰა! ცხარობდა რევავ როსტომის ძე. ერთ თვეს რომ გაგძელებულიყო ყინვები, ერთ თვეს, ჩემს ბედს ძალი არ დაჰყეფდა! ახლა კი მთლად დავილუპე, მთლად. ამდენი შეშა მაინც არ დამემზადებია.

რევას გული წყდებოდა, რომ ფასს არ დაუკლო, როცა მუშტარი მოადგა, და ცოტა მაინც არ გაჰყიდა.

— ეს რა გვიქნა ამინდმა! გული მაინც გვეჯერებია მარხილით! შეჩიოდენ ერთმანეთს ახალგაზრდები.

— ეს მეტის მეტია, მეტის მეტი! არა, რაღა ახლა გამოიღარა, როცა სამაგალითო ცხენი და მარხილი მივიღეთ, ჰა? ცხარობდა არტამან სერგეის ძე. ღმერთმა კი შეაჩვენოს აქაური ამინდი. არა, ვინ ეხვეწებოდა, დათბიო?

— ყველაფერი ჰმოწმობდა, რომ ზამთარი დიდხანს გაგრძელდებოდა, და ამას ვინ მოიფიქრებდა, თუ ასე უცებ დათბებოდა! გულდაწყვეტილი იმეორებდა იმისი ცოლი.

— ჯა, ორჯერ ქათიბი არ ჩამიცვამს, ეს რა ღვთის რისხვაა! აი დაიქცეს ამისი ზამთრობა, ჰა! ერთ მეორეს შესჩიოდენ ვაჟრის ცოლები.

— ჩემი რჯულის მადმა და დამღუპა, დამაქცია ამ ამინდმა, გაიძახოდა არონ ფილხაზის ძე ასე უცებ რომ არ დამთბარიყო, იცოცხლეთ, რომ ჩემ საქონელსა ფასი დაედებოდა! ახლა კი ნახევარი დამირჩება გაუყიდველი, ნახევარი, ჩემი რჯულის მადლმა. ფასსაც აღარავინ მამცემს რიგიანს. ამიდს რომ არ მოვეტყუებო, ამდენ ფულს მაინც არ დავაბანდებდი შიგ. დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი.

— შენი ზამთრობა ამოაგდოს ღმერთმა, შენი! ჰბრაზობდა მარტიროზ ნაზარის ძე. ნახევარი საქონელი გაუყიდავი დამირჩება. ცხოვრება გაჰირდა რაღა!

— ამდენი ზარალი იქნება? საზამთრო ფესსაცმელში კი კალოშებში ვიღას რათ უნდა ახლა! ჩიოდა და თავს აქნევდა არტემ არტემას ძე.

— თუმცა მე ბებერი ეშმაკი ვარ, მაგრამ ამინდი ჩემზე უფრო დიდი ეშმაკი ყოფილა! გულნატკენი ამბობდა არტურ ფრანცის ძე. ნახევარი საქონელი გაუყიდველი დამირჩება.

— ნაბდის ფესსაცმელები აღარ მინდა, შეშაც ბევრი აღარ დამჰირდება, იოლათ გამოვალ. სამაგიეროთ ახალწელიწადს კი გოჭ-

სა და ინდაურს გადავიგორებ! იიფ! ნეტავი ამისთანა ზამთარი დადგებოდეს! სიამოვნებით გაიძახოდა პოლიციელი ექვთიმე.

— ახლა, ჩემო მაკრინე, რაკი ღმერთმა გადმოგვხელა ასე დათბა, ფუფიკები და საზამთრო კალოშები აღარ გვინდა; შეშაც ბევრი აღარ დავგვირდება. ჩვენს ილაკრისა და ნიფიდორას კი იოლაკა მოვეუტანოთ, ჩვენ კი გოჭი და ინდაური შევებრაწოთ და ამ ახალწელაწადს სულ ვურა ვიძახოთ! ეუბნებოდა ცოლს გახარებული ზაქარია.

— შენ კი სულ დაკარგე იმედი და!

— იიმე, შე ქალო ვერ ხედამდი, რავარი ამინდი იყო? შეშის გარდა სხვას კი აღარაფერს დავციებდი. შეშას ვინ ოუვა მეთქი, ამას ვწუხბი. დეელოცა ღმერთს სამართალი, დევენაცვლეთ იმის სახელს, საწყალი კაცი მაინც ებრალება!

— რა ამბავია ეს, კაცო? რაც მე დავაბარე, იმისი მესამედიც არა მოგიტანია რა და რას გვიპირობ? უსაყვედურებდა ცოლი ქალაქიდან დაბრუნებულ საჩინოს.

— რათი უნდა მომეტანა, დედაკაცო? ცხრა ურემი შეშა გავაკეთე; ურემში სამსა და ათ შაურს მაინც ავიღებდი, მეგონა, თუ ოთხს არა და იმისთანა ამინდი გამოვიდა, დამაქცია ამისი ამინდობა ღმერთმა, რომ ორი მანათიც აღარავინ შამამძლია! დავილუპე და დავიქეცი. ზედიზედ ცხრა აბაზათ დიდის გაქირვებით გავყიდე. რომ ვიფიქრე: აა, გავყვითელი კაცი მეთქი, მაშინ დათბა და დადნა თოვლი! ეეჰ, დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი! ჩაიქნია ხელი საჩინომ და თავის ქნევით გასწია ხარებისაკენ.

— მარხილი მაინც არ შემეკეთებია ტყუილა!

— შენ შეგიკეთებია მარტო და მე ახლათ ახალი გავაკეთებო, ახლათ ახალი.

— მეც აგრე არ მომვიდა! გავაწყე თუ არა მარხილი მეორე დღისათვის, შევხედე და მთლად ერთიანად დადნა თოვლი!

— ამ უქმეებზე რომ ის ამინდები გაგრძელდებოდა, გარწმუნებ, გვარიანი მოგება დავგვრჩებოდა.

— დავილუპეთ, დავილუპეთ.



მგოსანი კ. ტიქინაძე (*) პოზიციაზე.

— რაც ხარჯი გავსწიე, ნეტავი ის ამელო და მოგებას ვინლა ჩივის!

— იქნება კიდევ გამოტრიალდეს ზამთარი.

— აჰ, აწი აღარაფერი აღარ იქნება, რაც იყო, იყო!

შეჩიოდნენ ერთმანერთს მეეტლები.

— ფოფოღია, ცოტა ხარჯებს მოუყელი, თორემ ამ ამინდებს ვერ უყურებ? მიმართა მღვდელმა მეუღლეს, როცა ის ნავაქრით დაბრუნებული დაინახა.

— ამინდი რა შუაშია?

— იმის შუაშია, რომ ყინვებში ზოგი ცივდება, ზოგს ანთება ემართება, ზოგს ჯანდაბა და ღვთის რისხვა და დღეში ორსა და სამს მიცვალებულს ვასვენებდი. ახლა ამ კვირემ ისე გაიარა, რომ ერთი დავმარხე ძლივს. თუ ამისთანა კარგი ზამთარი გაგრძელდა, ხალხს რა დახოცამს?

— კაცო, მკედრებს წყალში ხომ არა ჰყრიან? ამ კვირეში ერთი საფლავი აღარ გამოთხრია! ახალწელიწადი მოდის და ლამის გულზე გავსკდე! შესჩიოდა საფლავის მთხრელი სასაფლაოს დარაჯს.

— წყალში კი არა ჰყრიან კარგი ამინდებია, ხალხი ავით აღარა ხდება და კარგა მყოფს რა მოჰკლავს!

— აი ღმერთმა კი ამოაგლოს ამისი ამინდობა, ჰაა!

— ვაჭრობა როგორი გაქვს? ეკითხებოდა ერთი შეკუბოვე მეორეს.

— ერთობ ნაკლები.

— წარმოიდგინე, მე სულ არა მაქვს.

— ამისთანა ამინდში ვინლა მოკვდება, ავით აღარაფინა ხდება!

— აი ღმერთმა ამოაგლოს ამისი ზამთრობა და ამისი ამინდობა!

— რასა იქმთ, კოლლეგა? ბევრს მუშაობთ? ეკითხებოდა ერთი ექიმი მეორეს.

— სად არის მუშაობა? ავადმყოფს დიოგენის ფარნითაც ვეღარ მონახავთ! აღარაფინ აღარა ხდება ავით!

— წარმოიდგინეთ, შარშან ამ დროს ვერ ავუღიოდი ავთამყოფებს. წელს კი სულ არ არის, სულ!

— სამაგალითო დარგებია, ავით ვინ გახდება ამისთანა ამინდში!

ორივემ ხელი ჩააქნია და თავთავის გზას გაუღდა.

— სრულებით აღარა მაქვს ვაჭრობა, რა უბედურებაა! შესჩიოდა მეაფთიაქე ნაცნობ ექიმს. წარმოიდგინეთ, შარშან ამ დროს დღეში სამას ნომერს ვისტუმრებდი; ახლა კი დღეში ასამდეც ძლივს აღის!

— კარგი ზამთარია, კარგი და იმიტომ!

— აი ღმერთმა კი დასწყევლოს ამისი ზამთრობა! ყოველ დღე ვზარალობ, ყოველ დღე!

— განა ჩვენ კი არა ვზარალობთ! მაგრამ ამისთანა სიძაბო ჰაერში ინფლუენცის ბაცილებს აჩენს და აბა ცოტა ხანს იქით უყურე ჩვენსა და თქვენს მუშაობას! მე დაცლილი მაქვს: ამისთანა კარგ ზამთარს ყოველთვის ინფლუენცა მოსდევს სხვა და სხვა ანთებებით. აი, ნახავთ თუ არა!

— ღმერთმა ჰქნას, ღმერთმა! იმედიანის კილოთი წარმოსთქვა მეაფთიაქემ.

ზამთარმა უთოვლოდ გაიარა.

ნათლილების იმედი ჰქონდა ბევრს: ისევ აცივდებოდა, მაგრამ იმედი არ გამართლდა: ინფარსა და თებერვალში ქუჩებს მტვერი ასდიოდა.

გაზაფხულდა.

მეაფთიაქე და მისი ექიმი სულ ინფლუენცის ბაცილების მოლოდინში იყვნენ, მაგრამ ბაცილები არსადა სჩანდნენ.

კ. ტიქინაძე

ბ. ახოსიკალი და მისი სიგლარა

(გაგრძელება. იხ. „თ.“ და ც. № 5)

„გამოცანა ამ სოფლის სახე,
„ხან შევბა იცის, ხან სივალახე“-ო.

იძახის ის, და თითქმის მთელ ფილოსოფიურ სისტემას ვგაძღვეს ის თავის ჰემემა „შეუ-
ნება და სიუვარულში“. გადასთვადიერეთ ეს ჰე-
ემემა, შემდეგ გადასთვადიერეთ გუსტავ ლეონის
ფილოსოფიური მოსაზრებანი (უფოლუცია ნიგ-
თიერებისა) და გეგვირდებთ. ბ. ახოსიკა-
ლი სედა, პოეტური ენით გადმოგვცემს მთელ
შინააჩსს ახალი ფილოსოფიის ახალი იდეები-
სას. „არაფერი არ იბადება, ყველაფერი კვდე-
ბა, ისპობა“, აი უმთავრესი თეზისი გუსტავ
ლეონის ფილოსოფიური კვლევა-ძიებისა. მისი
აზრით, სახე რომ ისპობა, იგი თავისებურ ნი-
ვანაში გადადის, ნივთიერება—ეთერში, რადგან
ეთერია მისი სამარე. ხოლო ეთერი სამკედლო-
ცა, საიდგანაც სულ სხვა სახით ამოცურდე-
ბა ახალი სახე კვლავ მოსახლობათ განმზადეუ-
ლი. აბა უური დაუგდოთ ბეგლარ ახოსიკალს
თუ რას გვეუბნება იგი:

„რაც ერთხელ კვდება, იმავე სახით
„ალარ ცოცხლდება, არ დაბრუნდება,
„პირველი წუთი მეორეს არ ჰგავს,
„რაც ერთხელ იყო არ მეორდება“-ო.

მაგრამ ბ. ახოსიკალი ამით ფილოსოფიურ ტრანს-
ტატს კი არ გვიდგენს თვალწინ, არა. იგი გვა-
ძღვეს რა კანონს ევოლუციისას, ამასთანავე ამ
კანონს ის იარაღად იყენებს თავის აზრ-გოქმე-
ბის განსამტკიცებლად, თავის სეგდის დასახ-
ტად, მისთვის საფუძვლის მოსაძებნად. ახოსი-
კალი ამ მიმდინარეობა-ცვალებადობაში თავის
აზრს ფორმას ასხავს, თავის გულის კვებისას,
თავის შესიმისტურ შესედგებებს შიგ აქსოვს და
იძახის:

„სიხარულსა სცვლის ნადველ-სიმწარე,
„ლღეს თუ გინათებს, ხვალ ჩრდილს მოგაფენს,
„და დაბნელდება შუქ-მფენი მთვარე“-ო.

ის იმას კი აღარ გვეუბნება, რომ სიხარუ-
ლი ნადვლად ქცეული შეიძლება სხვა სახით, უფ-
რო სრულით, უფრო წარმტანით ამოცურდეს ქვე-
ურიერების ევოლუციაში, რომ ერთხელ მიმქრალ-
ნახუნებულად მთვარე შეიძლება ისიც სხვა სა-
ხით ამოცურდეს უფრო ნაზი, ან უფრო ძლიე-

რი, რომ უფრო უხვად მიაბინოს თავისი ვერ-
ცხლას ფერი სხივები, არა. ის მხოლოდ ეგველს
და ეოველს უარყოფითად ხმარობს, რომ სე-
რათს უარსყოფი სახე მიადებინოს, და ამის-
თვის ის შავი ხაზების გასმას არ იშურებს. აბა
კიდევ დაუგდოთ უური, თუ რას გვეუბნება:

„რაა ქვეყნად სამუდამო, ერთვან მყოფი, შე-
უცვლელი,
„ყოველ წუთში სახეს იცვლის ეს სოფელი
„გულის მკვლელი!
„შხამ-ნადველსა და სამსალას ვინ იყო რომ
აბა სვამდა,
„ვინ იყო რომ სოფლის ვარამს საბოლოოდ
გაუმკლავდა“-ო?..

აი, რას იძახის მგოსანი. აქ ის იმასვე
იმეორებს, რაც საუგუნობის ტევრშია დამაღუ-
ლი—მოთვარებული; რომ არსებობს ორი დასა-
ბამი, კეთილი და ბოროტი, რომელთ შორისაც
ბძოლვას გაჩაღებული, და რომელშიაც პირველი
მარცხდება, მეორე კი შეიძლება დანახარდობს
ცხოვრების ზღვის ტალღებზე, და შხამ-ნადვე-
ლით ახავეებს ეოველ წვეთს იმ ტალღებისას.
„ვინ იყო რომ ქვეყნის ვარამს საბოლოოდ გაუ-
მკლავდა“ იძახის ის, და ამით სიხარულს, ანუ
სიკეთეს წუთიერი სახით გვიდგენს თვალწინ,
ბოროტს კი მარადიულ სახე მიდებულს. ამ სე-
მოდ მოყვანილ სიტყვებიდან ვხედავთ, რომ ახოს-
იკალის აზრით უოველს წუთსა სახეს იცვლის
ეს სოფელი გულის მკვლელი“, რომ ქვეყნის
ვარამს საბოლოოდ ვერვინ გაუმკლავდა, რომ
ვერც გაუმკლავდება და ქვეყნიურ ვარამის ზღვა-
ში დაიდუბება. აქ ის ვგაძღვეს სურათს ზნეო-
ბრივი შესიმისტისას, და ვგავთნებს დიდი გე-
ტეს მეფისტოფელის სიტყვებს: „მე ვარ სული
ეველათრის უარყოფელი, და ვიქცევი რა ასე,
მე მართალი ვარ, რადგან ეოველი არსებული აუ-
ცილებლად იდუბება, რის გამოც უკეთესი იყო,
რომ ეს არსებულება სულაც არ ეოფილიყოო“. და
ახოსიკალიც რას იძახის?:

„ისმინე, ყრმია, გწამდეს, გჯეროდეს, არარაო-
ბა არის ყოველიოა“.

შემდეგ იძახის:
„სამარილისო არა არის რა, არცა ყოფილა და
არც იქნება,
„ყოველი არის სახეს შეიცვლის, ყოველი არ-
სი გარდაიქმნებაოა“.

ან და მისი მთელი ზოგმა „მშვენიერება და სიუჟეტ-რული“ ეს ხომ ნამდვილი ნიმუშია აჩვენებულობის, ქვეყნიერების უარყოფის, არ მიღების? აქ ხომ ის კვლავ ხაზს უსვამს იმ მოსაზრებას, რომ ქვეყნად ყოველი კეთილი ითვლება და ადამიანს სევდად რჩება გულით სიტარებად. სევდა სთვრუნავს ყოველივეს, სხაბს ყოველ კეთილს, და ამ სხობით თვით ფრთხილს ისხავს, უფრო მადლებს. იგი იძახის:

„მაშ რა გეგონა? ყველა მოკვდება უსიხარულოდ, უსიყვარულოდ, არც ერთს წუთს ჩემს ბრკყალს არ მოგაშორებთ, რა გინდ შემრისხოთ, მწველოთ და მკრულოთ“.

იგი სევდა შედიღურათ იძახის:

„კაცისა გულსა დამწვარ-დაგულსა
სამარადისოდ ვუახლოვდებიო“,

და სიუჟეტულს, როგორც ყოველივე კეთილის განსახიერებას, მიმართავს:

„სტიროდღე შენსა დაბადების დღეს სამარადისოდ დამარცხებულოვოა“.

ყველა ამ ზემოდ მოყვანილ სიტყვების შემდეგ ახსნიერული ერთგვარ ნიღბისტიის სახით გვიდგება თვალწინ. აქამდის კი ის სასტიკი ანალიზით მიდის და ეს ანალიზი კი მისთვის აუცილებელია. იგი ხომ რეალისტი, და როგორც ასეთს, სურს ამ ყოველივე რეალურს დრამად ჩასწავს, გაიგოს ყოველი მისი კუნჭული, გზახვეული. აქ სურს მას ახსნას ის ამოცანა ცხოვრების, სტდილობს გამოაშკარავოს მისი აჩვენებობის იღუმადი აზრი. ამისთვის ის ირჩევს ერთ გზას, მხოლოდ რაციონალურს. გონებით სურს შემეცნება, რადგან სხვა გზა, მაგ. ინტუიტივერო მას არა სწამს. მას ღოდაკა აქვს, და იგია მისი იარაღი. ამ იარაღს ხმარობს იგი როდესაც უკვირდება საგნათ და მოფლენათ და როცა მათ სიღრმეში იხედება. ის უკვირდება ადამიანს, ამ ქვეყნის გვირგვინად აღიარებულს აჩსს და იძახის:

„ან და რა არის აღამიანი, მის წარმოშობას რა აქვს საგანი?“

„თუ ის მეფეა მსოფლიოსი, გულს რად უღრლნიან ოხვრა-ტანჯვანი?“

„დაბადებისა არა იცის რა, აშინებს ლანდი მომავალისა“

„დღეს ერთი მოსწონს, ხვალე მეორე, დამკარგავია გზა და კვალისა...“

(გაგრძელება იქნება)
ვან. კოტეტიშვილი



სახელგანთქმული კლოუნი ა. ლ. დუროვი († 8 იან. 1916 წ.)

ჯერ არ გაუგიათო

ერთ მოქმედებიანი სცენა
პოლოსა, ხანაზი, 40 წლისა.
მარიამი, შობიასის ცოლი, 32 წლისა.

ძველებური ოთახი, ძველებური მოაჯირებიანი ტახტი, ოთხიოდე ძველი სკამი, ერთი ზანდუკი, ძველი კამოლი; კამოლზე თეთრი საფარი, ფეხებიანი რვეალი პატარა სარკე; სცენის წინა ნაწილზე—სღვას ხარაზის სამი ფეხიანი კუნი, ზედ მუშტა და ხარაზული დანა; კუნძის უკანა პატარა ტახტურეტკა, მარჯვნივ სიპი ქვა. იარაღის პატარა ყუთი, რომელშიაც აწყვიდა ნემსი, სადგისი და გასამთლული ძაფები.

მარიამი (ფარდის ახდისას, კუნძის მარცხნივ სდგას, ხელში ხანაზული თათისტარი უჭირავს და ძაფს ართავს) ეპ, დასწყევლოს ღმერთმა ჩემი ბედი და იღბალი: რა უბედურ მასკვლავზე ვარ დაბადებული. არა, ის ჩემი მაზლის ცოლიც ხომ მარიამია, მაშ მაშიკოს რაღათ ეძახიან ყველანი... ილაშ თავისი ქმარი არტუშა როგორ არუქ-ფარუქათ ინახამს, როგორ ეალერსება! ყოველ დღე სულ იმის კითხვაშია: „მაშიკო, დღეს რა გესიამოვნება, სადილათ აზოვერს ზაკაზი“ მივსცეო... მაშიკო, რანაირი კაბა გინდა შევაკერინოვო... რა ფასონის ტუფლები გინდა გიყიდოვო... მაშიკო, აჰა, ფული წადი შენთვის ახალი მოდის შლაპა იყიდეო... მაშიკო, წამოდი ფაიტონით მუშტაედში გაგასეირნოვო“... (ჩხუროთ) ვაი, ჩემი ბრალი: ეს ჩემი პოლოსა კი „მაშიკოს“ მაგიერათ მარიამს მეძახის: „მარიამ, ერთი ეს ძაფი დაართე... მარიამ, ძაფი

გასანთლე... მარიამ, მუშტა მომაწოდე... მარიამ, ეს ჯღანი წყალში დააღბე!..“ სმა-ქამას ხომ ნულარ იტყვის კაცი: ხან ცხერისთავი და ხან ხაში... კაბა ხომ რაც ჯვარი დამიწერია, მას უკან თორმეტი წელიწადი იქნება, ერთი გამიცვითა და აი (უზგუნებს ხეჯით ხაჯს), ეს მეორე არის და თუ რასმე ვეტყვი, მაშინვე ამას მიპასუხებს: ჯერ არ გაუგიათო...

II

პოლთა (ხელში ძველი ჩუსტები უჭირავს) ჰა, კიდევ მოჰყე შენებურათ შენი მაზლის ცხოვრებაზე? შენ არ გესმის: ჯერ არ გაუგიათ მეთქი... აი, ჩვენ ამაზე ვილაპარაკოთ (უზგუნებს ჩუსტებს): ეს ექვსი შაურის საქმეა, ამას ხელათ დავაკერებ, ერთ კარგ ქეჩოიან ცხერის თავს მოვიტან—ორი შაური? ოთხ გირვანქა კარგ ფურნის წითელ პურს ვიყიდი—ეგვეც ორი შაური. ეგ შენი ერთი აბაზი. ერთი ტრიცეცა თალიშას კახურ არაყსაც თან წამოვიღებ, ესეც შენი ექვსი შაური... დღეს ამითი იოლათ წავალთ...

მარ. (ბუზღუნით) ეგ დღეს, —ხვალა?!

პოლ. ხვალაც ღმერთი მოწყალეა! (თან სამუშაოდ დაჯდება) ეეე... ღმერთი მართალ კაცს არ დაჰკარგავს... მადლობა ღმერთსა.

მარ. (მწაჩქედ) ჰო, მადლობა ღმერთსა, ვითომ შენი ძმის პოერის მოხარული სადილს მიირთმევ! რაღა იმათი ცხოვრება და რაღა ჩვენი? კაცო, შენც ხომ იმისი ძმა ხარ რატომ შენც იმისავით არა სცხოვრობ არუქ-ფარუქათა? ეს როგორ არის, რომ შენ დღე და დამ ამ ჯღანებში სულს ირთმევ—მანც მშვიდვარი ვართ, ის კი ხელსაც არ ანძრევს და ყოველთვის ფერად-ფერადს მიირთმევენ, ტანზედაც კარგს იცმენ და იხურამენ...

პოლ. (თან იმის ხეჯით ჰკერავს) ჯერ არ გაუგიათ, ქალო, ჯერ არ შეუტყვიათ!.. როცა გაიგებენ, ეგენი მაშინ შითხარი.

მარ. იფ, ეგ არის შენი პასუხი, სულ მაგას იძახი. ერთი ეს შითხარი, რა არ გაუგიათ?

პოლ. როცა გაიგებენ, შენც მაშინ გაიგებ რაც არ გაუგიათ.

მარ. (დასდებს კუნძზე თითისტარს) იჰ,

ქა მე შენი თავი არა მაქვს, ეგ რაღაცა აგიჩემებია! (გადას)

პოლ. (თაყნაღუნული მუშაობს) ე, ე, ე, სიტყვა ბოლოა, ჩემო მარიამ, მაგნაირი ცხოვრება უფრო ქართთ გაბერილ ტიქსა ჰგავს...

მარ. (უცბად შემოყვარდება) კაცო, შენ ძმინათ კარებზედ იმოდენა ხალხია მოგროვილი, ასე გეგონება ბაზახანის ფომინობა არისო...

პოლ. (თაყნაღუნულით) ჰააა... იქნება გაუგიათ?

მარ. (ხეჯის ჩაქნევით) იჰ, ქა შენდა შენი „გაუგიათ“. ერთი კიდევ წავიდე, იქნებ გავიგო, რა ამბავია, რისთვის მოგროვილი იმოდენა ხალხი? (გადას)

პოლ. იმათ თუ გაიგეს—შენი გაგება ქირო აღარ არის! (სიჩუმე. მუშაობს)

მარ. (სახქაროდ შემოდის ეგირილით) პოლ, პოლ! არიქა, ჩქარა, ჩქარა უშველ უშველე: ჩემი მაზლის სახლს ისრე ურევთ თიქო ბაუბეუქოვის სახლს იკლებენო, ის თი ალიაქოთია, რომ მეორეთ მოსვლა გეგნება!..

პოლ. ვინ ურევს, ადამიანო?

მარ. ვინ და—კვარტალი აფხოტი.

პოლ. ჰა-ა-ა?! ვგონებ გაუგიათ, ქალო ვგონებ შეუტყვიათ! აბა, ერთი მეზობლე რას ამბობენ, მიზეზი რა არის მაგ ალიაქოთისა?

მარ. (გადას) წავიდე მექოშე ასატული კოლს სალომეს ვითხო! (გადას)

პოლ. (თავისთვის) მუდამ კოკა წყალს მაიტანსო; ახარ ეს ძველი ანდაზაა და როგორც ძველი ოქრო და ვერცხლი კარგისეც ძველი სიტყვაა კარგი.

მარ. (შემოდის მუხღებში ტყვით) ვა თვალებო! გენაცვალეთ ეხლა კარში თავი აღგაგვეყოფა, ეს რა ღვთის რისხვა დაგვეცა თხელ!

პოლ. (გაშტკებუდი) რა იყო, ქალო, მოხდა, რა ამბავია?

მარ. (მწაჩქედ) რაღა უნდა იყო! პირი პირ ავლაბრის მორევი უნდა ჩავცივიდნენაცვა, ისიც დამით, თორემ დღისით კარ არ გაგვესვლებო: ვინცა გენახოს—ყველა ჩავვაქვავებენ.

პოლ. რათა, ქალო, რა მოხდა იმისთანა, ვისთვის რა დავები შეგებია, რატომ არ მეუბნები?

მარ. (ღამაგრებულა) რაღა უნდა გითხრა: მთელმა ქვეყანამ გაიგო...

პოლ. რა გაიგო ერთი სთქვი და... გული კი გამიწყალე და...

მარ. (პირზედ ხელს იფარებს) უიმე, გენაცვალე, როგორღა ვსთქვა, თავათ მთელმა ქვეყანამ გაიგო, ახლა მეც რომ ვსთქო და ისიც გაიგონ—მერე რაღა ვქნა?

პოლ. (უფიქროს) ევე! იში აქანდაზ, ვინ რა უნდა გაიგოს ამ ჩემ სახლში და ან ისეთი რა არის რომ ეგრე გეშინიან?

მარ. ქა... ისეთი რა არისო? ვუი, თვალეღი დამიდგეს. ცოლ-ქმარი ციხეში დაიქირეს, სახლსაც სულ წითელ-წითელი ბეჭედმედაკრეს და შენ კი ამოვ რა არისო? მაშ ეგ არაფერია?

პოლ. (გაოცრებულა) ვინ ცოლ-ქმარი, ვისი სახლი, რა თხები რას ამოვ?

მარ. (შეტკევათ) თხები კი არა და აქლე-მები. შენი ძმა არტუზა და ჩემი მაზლი ცოლი მაშიკო!

პოლ. (ღამაგრებულა) ჰო, კი ეხლა მივხვდი რათაო მიზეზი რა არის, აბა ერთი ისიც მითხარი!

მარ. (აქეთ-აქით იუფრება) აქ კი არავინ შემოპარულიყოს და ყურს არ გვიგდებდნენ: იცი, კაცო თურმე ჩემი პატროსანი მაზლი ცოლი რო არტუზას ეძახოდა...

პოლ. ჰო... მერე ნუ გააგრძელე კიკოლიკას სიზმარივითა...

მარ. ჰო, იმას ვამბობდი, თურმე ღამით მუშაობს...

პოლ. როგორ, რას აკეთებს?

მარ. რას აკეთებს და იმას, რომ თურმე ეგენი სამი თუ ოთხი ამხანაგი ყოფილან. ერთი ვიღაც მდიდარი სოვდაგრის მაღაზია გაუტეხიათ და იმოდენა ფარჩა-აბრეშუმი, შალიბალდად-ქიშმირი, ჩითი-მიტკალი, ამირიკა და კიდევ რა ვიცი სულ გამოუზიდნიათ, თურმე მუღამ ეგრე შვრებიან, მაგის ხელობაც ეგა ყოფილა...

პოლ. მერე მაგის გულისთვის ჩვენ მოარევში რაღათ უნდა ჩავცვივდეთ?

მარ. ქა... შენი ძმა არ არის? ეგ თავის მოქრა ჩვენი თავის მოქრა კი არ არის?!

პოლ. აფერუმ, ჩემო მარია, „ხურმა უტი ჰაირაპეტ—ჯარიმ ქაში კარაპეტ“)..." იმან იქურდოს მე კი ჩემი ცოლშვილით მორევში ჩავარდე!.. შენ ეს მითხარ, მართლა მიაბძანეს ვირის აბანოში?

მარ. ჩემი თვალით ვნახე: ჩემს მაზლის ცოლს ისე გასწეწოდა თმები, რომ კორიძანთ კეკელა გეგონებოდა! ჩემ მაზლსაც მკლავები შეკრული ჰქონდა...

პოლ. (თან ჰქერავს) ჰო... ეხლა გაუგიათ, ეხლა შეუტყვიათ. აი, ჩემო მარიაშჯან, როგორიც ჩიტები იყვნენ—იმისთანა გალიაშიც ჩასხეს. (აჩივნი მღკრიან „ჯან გულუმის“ ხმაზე)

პოლ. ესე, ჩემო მარია, ეხლა გაუგიათო: „აკურატნი“ ქურდების მახე დაუგიათო: სხვისი ოფლით მდიდრებსა როგორ მოუგიათო? დაკეტილ-დაფარულის კარი გაულიათო... ახლა ამბობს სულ ყველა: მაგრა გაუბიათო!.. მეც იმიტომ ვამბობდი—ჯერ არ გაუგიათო!..

(ფარდა ნელ-ნელა ეშვება)

ანტონ განჯისკარელი

*) სომხური ანდაზა: ხურმა ჰამოს ჰარაპეტამ, ჯარმა ზღოს კარაპეტამ...



პოლკოვ. ლ. კ. მამაცაშვილი
კომანდირი—თურქესტ. არტ. დივიზიისა, მოკლულ იქმნა დასავლეთის ფრონტზე.

მსახიობი ქალი

ჰო-და! აი, ერთ მაგალითს მეც მოგიტხოვ, გამიგონე: ერთ მსახიობ ქალს ვიცნობდი, ნაზი იყო, თავ-მომწონე. შემეყვარდა, შევეუყვარდი,—ამას თითქმის ყველა გრძობდა, მაგრამ თურმე მსახიობი ცხოვრებაშიც მსახიობდა.

მე მას ვუძღვენ ყოველივე: სული, გული—რაც მებადა, ის დავბადე მე ჩემს ლექსში, ლექსიც მისგან დამებადა; მე ვმღეროდი ურიცხვ ჰანგებს, ის კი ჩანგზე სიმს აწყობდა... მაგრამ თურმე მსახიობი ცხოვრებაშიც მსახიობდა.

ო, მან ჩემი სიყვარული—ქორთა, წრფელი და ხასხასა ვერ განსკვრიტა დინჯის თვალთ, ვერ ახსნა და დააფასა; მან მომპარა ყოველივე რაც ჩემს შევებას შეადგენდა, მომპარა და ეხლა... ეხლა დარჩა მხოლოდ ეს ლეგენდა.

მაგონდება: ბოლთას ვცემდი ერთხელ ბაღჩის აივანზე, შემოიჭრა ამ დროს იგი, შემომიკრა ლარნაკ ტანზე, თან ამბობდა: „ჰხედავ, ჩემო, მშობლებს არც კი შევებოვე და მოგნახე, როგორც იყო, ძლივს გიპოვე... ძლივს გიპოვე...“ ჩამეხვია... ჩავეხვით... ავგალობდი... აგალობდა... მაგრამ თურმე მსახიობი ცხოვრებაშიც მსახიობდა!

ამის შემდგომ—მესამე დღეს—დავეწვიე ჩვენს თეატრსა; თამაშობდნენ ერთ პიესას—ცნობილს, კარგს და ნაინატრსა, და მე ვკრეფდი, ჭკვიან ყურით, მსახიობთა ყოველ თქმულსა, ვადვენებდი თვალს მათ თამაშს, მათ ტანს, ნაკეთად ჩამოსხმულსა. ამ დროს—ღმერთო!—შემოქროლდა ჩემი სატარფო, და ამ ქალმა ჩაიხვია ვიღაც კაცი, კაციც ხვევით მიესალმა.

ქალმა უთხრა: „ჰხედავ, ჩემო, მშობლებს არც კი შევებოვე და მოგნახე, როგორც იყო, ძლივს გიპოვე... ძლივს გიპოვე...“

ესა სთქვა და: ამ სიტყვებზე ირგვლივ ყველას გაეხარდა, მოეწონათ მსახიობი, ყველა ერთხმად ახარხარდა, მხოლოდ ერთი ამ ხარხარში ცრემლის ფრქვევით კვლავ ამბობდა: ეჰ, მართლაც, რომ მსახიობი ცხოვრებაშიც მსახიობდა!

ი. გრიშაშვილი

† ბ ი რ ზ ი ბ ძ ე ლ ი უ ვ ი ლ ი

სასარგებლო წევრი გამოაკლდა ჩვენს საზოგადოებას...

მ თებერ. მცირე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გ. გრძელიშვილი, ნაფიცი ვე-ქილი, ქართულ-რუსულ თურნალ-გაზეთების თანამშრომელი, გულწრფელი ქართველი, სამ-შობლოს წინსვლის მონატრე. თავგამოდებით ზრუნავდა ქართული თეატრის აშენების საქ-ზე და რამდენიმე პრაქტიკული მოსაზრებაც წარმოადგინა. მისი რჩევით „ახ. კლუბმა“ თე

ატრის ასაშენებელ თანხის გასაძლიერებლად კერძა და შესასვლელს თითო შაური წაუმა-ტა, რითაც უკვე ათას თუმანზე მეტია შეკ-რებილი და შემდეგ ყოველ წლიურად 15000 მ-დე შემოვა, ვიდრე კლუბი იარსებებს... კი-დეგ ბევრი რამ კეთილი განზრახვა ჰქონდა, მაგრამ სიკვდილმა სრულიად მოულოდნელად შეაჩერა მისი მოწადინე გულის ძგერა...

იოსებ არიმათიელი

ახალგაზრდა მსახიობნი



(მათი ბენეფისი ქუთაისში 11 თებერ.)

1, ხ. ჩხიკვაძე; 2, ნ. ჩაგუნავა; 3, ო. ლოღობერიძე; 4, ს. ბეჟანიშვილი; 5, შ. ხონელი; 6, ა. კავთელი; 7, ი. ულენტი (მოკარნახე); 8, ზ. შურუშაძე (ადმინისტრატორი).

გინახვთ თუ არა ვეება მანქანა, რომელსაც მრავალი წერიმადი ბაღთა, კოჭკი და სხვა ნაწილები აქვს? და ერთი მათგანი რა გამოატადო, მანქანა შესდგება.

სწორედ ამს მოგაკანებთ ახალგაზდა, „შატანა“ „უსახელო“ მისახიობი, რომელიც საზოგადოების თვალში დიდათ არა სჩანს, მაგრამ წარმოდგენის მთლიანობისთვის კი დიდი მნიშ.

ვნელობა აქვს, მით უმეტეს თუ იგი სიყვარულით და ერთგულად ეუბრობა თავისს მოვალეობას...

ასეთი რვა ახალგაზდა მისახიობის ბენეფისი ქუთაისში 11 თებერვ. გამართება და, იმედი უნდა ვიქონიოთ, საზოგადოება მათს ამაგს დააფასებს...

ბოიკოტი

პიესა სამს მოქ. და ოთხ სურათად (გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 5)

V

პავლია და კესა.

კესა. ვისა, ყმაწვილო, ვის ემუქრები ასტე?

პავ. (მოხედავს) აა, კესა, გამარჯობა შენი, გამარჯობა! (უნდა მოეხვიოს, მაგრამ კესა უკან გადაუსტება)

კესა. დეწი უკან, ხელი არ წაშაკარო.

პავ. რა იყო, ბოშო, რა ბზიკი შეგიჯდა, რა ამბავია?

კესა. კილო კაი რომ ჩემი ყურიით გევიგონე.

პავ. რა გევიგონე, ბოშო, რა?

კესა. (გაჭყრბუქავს) კაცები სუყველა საზიზღრები ხართ...

პავ. რეიზა, ბოშო, რეიზა! აქამდის თუ შეპარყინული ვიყავი, რავა, ახლა შევიქენი საზიზღარი! გუშინ ძალიანს მეპორწილავოდი კისერზე და დღეს რავა ეშმაკები შეგიჯდენი! (მიიწევს მოსახვევად)

კესა. მომცილდი იქით, შენი არაფერი არ მინდა

პავ. (პირჯვარს იწევს) დიდება შენს სახელს უფალო! რა დაგემართა, ბოშო, არ იტყვი ახლა!

კესა. (ტირილით) ააა, ტყვილა მელაპა-რაკებოდი ყველაფერს: ასტე შეგინახავ, ისტე მოგიარო და ეხლა გალახვასაც მპირდები.

პავ. (გაკვირვებულო) ვინა, ბოშო, ვინ გპირდება გალახვას! (ახლო მიიწევს და მოესვება) კესა, ჩემო კესა შენ დაგენაცვლოს შენი პავლია თავიანთებებიანა, რა ვაწყენიე ახლა არ მეტყვი!

კესა. მე რომ შენი ცოლი გავხდე, ააა

უნდა გამლახო, ხო? რას ამბობდი ახლა, მარტვა რომ ლაპარაკობდი?

პავ. ვაი, შენ დაგენაცვლოს, შენი პავლია მაგ ყრონტუმი. იმას, შე გლახა, ილია ლუკაოვიჩზე ვამბობდი. (ეხფევა)

კესა. შენ არა სთქვი, ჩემი ცოლი რომ იყვეს იმდენს ურტყამდი, იმდენს ურტყამდი რომაო...

პავ. აჰ, არ მოგიკვდეს პავლია. ჩემი ცოლი კი არა ჩემი ტოლი რომ იყვეს თქვა, ბოშო ტოლი ამიზა ხარ მერე გულმოსული! (ჭკნინის)

კესა. (ხელიდან უსხლტება) მეიცა, ბოშო, არავენ მევიდეს.

პავ. მევიდეს, რავა ვისი მეშინია! კი არაფერს ვიპარავ.

კესა. (ფეხის ხმა ისმის, კესა შეკრთება) მეიცა, ბოშო, ვინცხა მოდის გონია.

პავ. (გაჯაფრებული შივა კარებთან და რა დაინახავს ბესარიონს შიდახეებს) რა გინდა, ბოშო, რა? შენი ადგილი კუნხაშია.

VI

იგინავე და ბესარიონი

ბესარიონი (მოკრძალებით შემოდის. ტარიელი კაღათი უჭირავს ხელში. წაღვან მსოფლიდ პავლია და კესა დახვდებიან, თამაშად — პავლიას) კუნხაში, რავა ბუში კი არა ვარ. შენ თუ შემოხვალ იქანე, რავა ვითომ მე რეიზა არ უნდა შამევიდე. შენ იქანე საღლაბურცოთ შემოდინხარ და მე საქმიზა მოვედი.

კესა. რა ამბავია, ჩემო ბესარიონ, რაშია საქმე?

ბესარ. (თავს გააქნევს) გლახათაა, ბიძია, სიქმე, გლახათ.

პავ. რავა, ბესარიონ, თქვი შე კაცო!

ბესარ. რავა და ვერაფერი ვიშოვე ბახარში. არაფერი მომიდეს.

კესა. რეიზა, ბესარიონ, რეიზა?

ბესარ. არც ხორცი, არც თებზი, არც ხახვი, კართოფილი, არც პური და არც ღვინო. ერთი სიტყვით შენ ხაზინის ბოიკოტი აქვს გამოცხადებულიო და არაფრის მოყიდვა არ შეგვიძლიანო.

პავ. ვაი, ამ ღღის მომსწრეს. მერე დღეს ვეზლის ნაჩალიკი ჰყავს ხაზინის დაპატივებულნი საღილათ. აბა სერი აგია!

კესა. ბეჩა, ასტე რავა აქნება, ხომ დევინოცეთ სიმშლით!

პავ. შენ მის ჯავრი ნუ გაქვს. შენ საყოფს ქე ვიშოვი საღაცა. ისტე რავა წახდება საქმე, რომ ბესარიონს საცხა კუნჭულში რავე არ ქონდეს გაღამალული.

ბესარ. ჩვენ დღეს და ხვალ ქე გავიტანთ თავს, მარა მერე რავა წავა ჩვენი კარაბადინი, არ ვიცი. ხო, პავლია, „პარკლამაციას“ გაჩვენებ! (იღებს უბიდან) გუშინ ხაზინმა რომ გარეკა მუშების მოციქულები, გული მოსვლიათ და „პარკლამაციები“ დოუყრიენ წუხელის. (აძღვეს პავლიას ფურცელს).

პავ. (გაშლის გახარებული) უჰ... თქვენი სულია, ბიჭებო! ამ წითელ ფერს რომ დევინახამ; გული გამინათლდება. თქვენი ყრონტის ქირიმე, მუშებო! ისტეველე თქვენ თუ მოკუტავთ ამ ბურჯებს, თვარა ამოგეძრენ სული.

კესა. წაიკითხე, ბოშო, ჩვენც გავგავონე.

პავ. (ატრიალებს ხელში, გაშლის და ხმაშადლა, გარკვევით კითხულობს)

„ამხანაგებო!

ჩვენ, როგორც კულტურულ მუშებს შეჰფერის, პატიოსანი, მშვიდობიანი გზით გაფიცვა გამოცხადეთ და გვინდოდა აღამიანურის უფლებების მოპოება. ბატონი ღიპაძე კი, იმის ნაცვლად, რომ ანგარიში გაუწიოს მუშათა კანონიერ მოთხოვნილებას, არავითარ საშუალებას არ ერიდება ჩვენს დასამარცხებლად და დასამციკრებლად. ის გაჯიუტდა და თავისი დამქაშების წყალობით უნდა გასტეხოს ჩვენი გაფიცვა. არ გვინდოდა უკიდურესი ზომებისთვის მიგვემართა და საქმე გაგვემწვავებინა, მაგრამ... რომ სამუდამოთ ავლამოთ ღიპაძისთანა ტიპები და დავანახოთ ჩვენი ერთსულოვანი ძალა და მოქმედება და მით თავზარი დავცეთ ჩასუქებულ ბურჯებს, ამიტომ გადაწყვიტეთ გამოუცხადოთ ბოიკოტი ბატონ ღიპაძეს. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ მუშებში ეს დადგენილება მტკიცეთ იქნება დაცული. მოუწოდებთ აგრეთვე ადგილობრივ მცხოვრებთა და ვაჭართ, რათა სასტიკათ დაიცვან ეს გადაწყვეტილება. არავითარ შემთხვევაში ბატონ ღიპაძეს არ გაუ-

მართონ არაფერში ხელი და არც არავითარი სანოვაგე მიჰყილდონ. ამას აცხადებს მუშათა ბიურო, რომელიც ორი ათასი კაცის წარმომადგენელია და ვაი იმ ვაჭრუკებს და საზოგადოთ ყველას, ვინც მუშათა კულტურულ სურვილებს წინ გადაეღობება. დეე, იგრძნოს ამით ბატონმა ღიპაძემ, რომ ის, რითაც იგი და მისი კომპანია საზრდოობს, ყველა ეს მუშის ხელიდან გამოდის და ანგარიში გაუწიოს თავის მარჩენალს. ჩვენ მიერ ერთსულოვანი ბოიკოტის დაცვა თავზარს დასცემს ბატონ ღიპაძეს და აშკარად დაანახვებს, რომ მისი ლითონი, ეს ჰყვერიალა ოქროები კუქს ვერ გაუძღვება, თუ მუშა ხელმა სანოვაგე არ დაამზადა. ამხანაგებო და მოქალაქენო, დაიცავით წესიერება. ჩვენი გაფიცვა ეკონომიურ ნიღაღზეა აღმოცენებული და მასში მთავრობა ვერ ჩაერევა, თუ, რასაკვირველია, ჩვენვე არ მივცემთ საბუთს. იმოქმედეთ წყნარად და შეერთებულად. გაუმარჯოს ამხანაგურ სოლიდარობას!

გაფიცვის ბიურო.“

პავ. პრავა, პრავა, შე და ჩემმა ღმერთმა! ოჰ... თქვენს ფიქვებს ვენაცვალე ბიჭებო! ეტირა დედა ეხლა ჩემს ხაზეინს. აჰა, ახლა მიირთვას „რაზი-რაზნი“ ზღუდები.

კესა. ბეჩა, ხომ სიმშლით დაგეწყვეტენ.

ბესარიონ. ახია ყორისფელი მაგაზე! ამდენ მუშას რომ ხოცავს სიმშლით, აგი არაფერი! მოუმატოს პატარა იგენსაც და უბატონოთ ხმას არავინ გასცემს. (მაჯღიას) პავლია, მე კუხნაში შევალ და შენ ეს ამბავი ხაზეინს გააგებო... (გადის)

პავ. მისი ჯავრი ნუ გაქვს. რაღაი ამ დღეს მოვესწარა, რომ მის წრიალს დევინახავ თვალით, ვეტყვი კი არა, სულ გულზე გავხეთქავ.

კესა. პავლია, ეს ბოიკოტი რა ფერი იქნება? მარტვა-საქმელს არ მიყიდიან!

პავ. რაფერია და არც საქმელს მიყიდიან, არც სასწელს, არც ჩასცემელს და არც დასახურს, არც არევენ დაელაპარაკება, სანამ მუშებს არ დააკმაყოფილებს.

კესა. მაგი ნამეტანია, ბეჩა, მარა იმ ერთ მუხლს არა უშავს. არ დაელაპარაკებიან და

მოსვენებული იქნება. ნეტა მე გამომიცხადებდნენ იმ ბოიკოტს, რომ შენ აღარ დამელაპარაკო და ერთხანს შევისვენო.

პავ. ბოიკოტი კი არა, რევოლუცია, რეჟაცია და პაგრომი რომ ყველა ერთად გამოვიცხადონ, მე შენ დალაპარაკებას მაინც ვერ მოვიშლი. (შიიწვეს მოსახვევად) ვაი, შენ დანაცვლე...

კესა. (გაქცევს) აა, არ შეიძლება, ბოიკოტი მაქვს გაკეთებული, ბოიკოტი!

პავ. (გამოეკიდება) კესა, კესა, დედა ნუ მოგიკვდება ერთი მაკოცნიე, ერთი!

კესა. აა, ბოიკოტი მაქვს, ბოიკოტი!

პავ. კესა, კესა, ერთი, ბოშო, ერთი. (კარებში ხელს წაატანს კესას, მაგრამ კესა გაუსხლტება ხელიდან და გააქცევს. ამ ხმაურებაზე გამოდის გიორგი ღიპაძე. მაჯღიას დარცხენილი გაჩერდება)

VII

ივინიეე და გიორგი.

გაორ. ბიჭო, რა ამბავია, ეს რა ყვირილია! ქუჩაში ხომ არა გგონია შენი თავი, შევირო, შენა!

პავ. არაფერი, ბატონო, გულმოსული ვარ ცოტა დი იმიწა ავხმაურდი. ეგერ ჩვენ პოვარს ველაპარაკებოდნი და ცოტა ხმამაღლა მომივიდა.

გიორ. თქვენი სალაყბო სამზარეულოა. დაეყარენით იქ და რაც გინდათ, იყბედეთ. აქ ყვირილი მეორეთ აღარ გაბედლო, თორემ ვაი თქვენი ბრალი.

პავ. ბატონო, გული მომივა დავიყვირებ აბა რა იქნება! ბესარიონი მევიდა ბაზრიდან ცარიელი. უთხრობიათ ბოიკოტი აქვს შენ ხაზეინს გამოცხადებულიო და ვერაუერს მოგყიდიო.

გიორ. რას მიჰქარავ, ბიჭო, მართლა?!

პავ. კი, ბატონო, კი! ტყუილს რავა მოგახსენებთ.

გიორ. დამიძახე ეხლავე ბესარიონს აქ.

პავ. „ს-ჩას“, ბატონო! (გადის)

გიორგი მარტო.

გიორ. (ძაღიან გაჯავრებული დადის სტანაზე და სიბრაზისივან დარბლებსა ქურის) არვინ მიკრძალავს მე, გიორგი ღიპაძეს, სანო

ვაგის ყიდვას, ვინ! ვილაცა მურიანები?! მაშ პოლიცია აღარა ყოფილა! ისე ღღეს დავაყენებ, რომ სულ წვეწვს გამოვადენ მაგ რაზბონიკებს მავათ! ამისთანა გინახავთ! მე ვარ და არ ვაკმაყოფილებ! ჩემი ქონება ჩემი ნებაა. სულ არ მინდა მუშაობა. მე რაც ქონება მაქვს, ჩემს სიცოცხლეში მეყოფა და მავათ კი კუბოს კარამდე მივიყვან სიმშლით ისეთ ღღეს დავაყენებ. აბა, ვნახოთ ეგენი გაიმარჯვებენ თუ მე! (შემოდის ილია ლუკი)

(შემდგვი იქნება)

გოგია

ოძის მსხვერპლი



უღმრთელი ოძის დემეტრე კიდეკერძი მრავალჯერ უღრთ და უღანაშუალო მსხვერპლი შეიწინა. 2 იან. ოსმალეთის საზღვარზე ბრძოლაში მოჭკლეხ მეტეხელი ვანო მადლაშვილი, 23 წლისა, დაუზარელი სტენის მოუგარე. სწავლაობდა კადეტთა კორპუსში, შემდეგ, როგორც საუკეთესო მისი მქონე, პრფ. რაბინოვის სტიპენდიით შინ ემუშავებოდა, ხშირად ს. მეტეხში სასწავლო წარმოდგენებში მონაწილეობდა კლესებთან ერთად და სასწავლო სტენის აღმრძინებას ხელს უწყობდა. თვე-ნახევარია რაც ოძში გაიწვიეს და ოთხი დღის მანძილზე ბრძოლის შემდეგ მოკლულ იქმნა. მისმა სიკვდილმა უზომოთ შეაწუხა მთელი სოფელი... ქართველი დედის წუხილს ბოლო აღარ უჩანს, მაგრამ იმითი ვინუგეოთ, რომ ამდენი მსხვერპლის შემდეგ იქნება მომავალი კეთილი გვექმნეს... მაშინ არც ვანოს უღრთოდ სიკვდილი იქნება უნუგეო.

სამარადისოდ იფოს ხსენება შენა, ძვირფასო ვანო...
მარიამ ანანიასვილისა

ქართველი ერი

ხელოსნობისა და ვაჭრობა-მრეწველობის ასპარეზზე

ქართველი ერის მრეწველობას, ვაჭრობას ანუ ალბ-მიცემობას, საქარხნო გარემობას, საფეიქროებს, ზარათხანებსა და ყოველივე ასეთ საქმეს მრავალფეროვანი წარსული აქვს. ჩვენს ცხოვრებაში მას ფართო მნიშვნელობა უნდა მიეცეს, ვინაიდან იგი, ასე თუ ისე, აღორძინებით, თუ დაცემით მთავარ კვანძს შეადგენს არამც თუ მარტოდ ისტორიისათვის არამედ კაცთა ცხოვრების გაფაქიზებისა და გონებრივად განვითარების წინაშეც. ყველამ ვიცით, რომ ვაჭრობას, თუ საქარხნო და სამანლო საქმეთა განვითარებას აქვს მკიდრო კავშირი თვით ერის ცხოვრებისა და კულტურულად განვითარებასთან. ასევე მის ვრდომას და ანუ კრიზისსაც აქვს თავისი მიზეზები და ამ პირობებსაც ზედ ერთვის, ვინ იცის, რამდენ ნაირი რაგინდარა.

ქართველებმა ვაჭრობის, საქარხნო და სამანლო საქმეთა ასპარეზზედ ერთი ენახეთ და მეორეც, ერთიც გამოვსცადეთ და მეორეც. ასეთ საქმეთა აღორძინება-ამაღლებასაც მოვესწართ და მის დაცემა-დამაღლებასაც. ჩვენთვის ერთი მნიშვნელოვანია და მეორეც. ქართველ ერს ვაჭრობისა და მრეწველობის მხრით, კავშირი ჰქონია სხვა და სხვა ტომთან ქრისტეს დაბადებამდე ბევრად ადრე. უძველეს დროს, ქართველნი თამამად მგზავრობდნენ ბიზანტიას, ეგვიპტეს, ინდოეთს და სხვა ასეთ დაშორებულ ქვეყნებში.

ბიზანტიის მწერლების თქმით და სტრაბონის მოწმობით, საქართველოში ქართველთა და უცხოთა შორის, სხვა და სხვა საქონელთა ვაჭრობა ისე ყოფილა განცხოველებული, რომ შავის ზღვიდამ რიონში თვით სავაჭრო გემებიც კი შემოდიოდა, თან შემოჰქონდათ ქართველთათვის უცხო, იშვიათი საქონელი და საქართველოდამაც იქით გაჰქონდათ ის საქონელი, რაც კი აქ, ჩვენში, იყო გავრცელებულ-განვითარებული და უცხოელთათვის კი იშვიათი — საქირო. სტრაბონის ცნობებით მოწმობენ, რომ საქართველოდამ ბერძნებს შა-

ვის ზღვით წელიწადში 10 მილიონის საქონელი გაჰქონდათ და შემოჰქონდათო. ათ მილიონს სესტერცის ამბობენ, ასევე ვაჭრობა აქვდათ ქართველებს რომაელებთანაც.

ქართველთ აღებ-მიცემა, ვაჭრობა და ზღვაზე მოგზაურობა ძველადგანვე ყოფილა აღორძინებული. ამას ასაბუთებენ ბიზანტიელთ და რომაელთ თითქმის ყველა ის მწერლები, რომელთაც კი მთელის კავკასიის შესახებ რამე დაუწერიათ, ან უმგზავრნიათ და სხვ. ასეთ ნაწერთა რიცხვი ერთობ დიდია, იგინი ნათელის გარემოებით მოსვენ ჩვენს ძველს დროს და იმ დროთა ქართველთ სააღებ-მიცემო ნიჭიერებას და მის გარემოებათა პირობებს.

ეს რომ ცხადი ქეშმარიტება არის და უტყუარი მოწმობა, ნათლად ამტკიცებს ის გარემოებაც, რაც კი ახლა განვითარებულ სწავლულთაგან ისტორიის ფურცლებზე დასაბუთდა და რაც კი ქართველთ ერის წარსულს, მათ უძველეს დროის კულტურულს განვითარებას, აღებ-მიცემას, ზღაგოსნობას შეეხება და სხვ.

ძველ და ახალ შეისტორიეთა მოწმობით კოლხები ძველის დროის ერია; იგინი უხსოვარის დროიდან სჩანან ისტორიის ფურცლებზე. თავის დროს, კოლხებს სჭერიათ ფართო ქვეყნები და ჰქონიათ მძლავრი სახელმწიფო, მასთანვე აყვავებული ხელოვნობა, საქარხნო საქმეები და აღებ-მიცემაც. ყველა ასეთ საქმეთა დარგზე კოლხები ყოფილან გამოცდილნი და დაწინაურებულნი.

აწინდელის სწავლულთა თქმით კოლხები ქართველები არიან. ამას ასაბუთებს, სხვათა შორის, ბარონი უსლარი (г.О КОЛХАХЪ, записка барона Услара 1891 წ.). კოლხები განვითარებით ისე ყოფილან ამაღლებულნი, დაწინაურებულნი, რომ მთელს აღმოსავლეთშიაც ცნობილნი ყოფილან, როგორც განათლებულნი და სხვა და სხვა საქმეთა ხელოვანნი. ამათი განვითარება ისე ყოფილა დაწინაურებული, რომ ბიზანტიელთ და რომაელთაც კი მათგან შეუსწავლიათ ხელოვნობა და ვაჭრობა. მაგალითებო კოლხებს კარგათ სცოდნიათ ვარსკვლავთ რიცხვა, წელი-

წადთა დროის დაყოფვა, ჰაერის შეტყობა, მთვარის დრო-ჟამის გაგება, კაცთა მკურნალობა, ბედაურთა, ფრინველთა და სხვ., კეთება სახლების, ხიდების; თიხის ზელა, კრამიტის, აგურის, ქურქლის და სხვ. კრავა, ქსოვა, კრა, კერვა, სამღებროები და მრავალიც სხვა ასეთნი, როგორც საქარხნო, ისევე სავაჭრო და სააღებ-მიცემო საქმენი.

ზ. ჭიჭინაძე

(გაგრძელება იქნება)

ელ. ჩერქეზიძე

(30 წ. დღესასწაულზე 2 თებ. სახაზინო თეატრში წარმოთქმული)

იყო და... არა იყო რა...

იყო ერთი ერუ სოფელი, გარს გველეშაბი შემოჭხევედა, ხალხს სსსო წარკვეთდა, სიბნელეში ჩაფლულიყო, რწმენა დაეკარგნა და უკეთესი მომავლის გზას ვერა ვხედავდა...

გაბედებული ხალხი უროიერთს ესედა...

სოფლის მახლობლად მდებარე კარში მხე ქალი ცხოვრობდა, უამისო-ჟამად დიდა-სადამოთი სოფლად ჩამდიოდა, ხალხში ჩაერედა ხალხე, ღამაზ მომხიბლავ ზღაპრებს მოუთხრობდა, რწმენა გაშქრალთ მდებარე მისწრაფებათ უნერგავდა, ცხოვრების განახლებისკენ მოუწოდებდა... შთაგონებდა, რა გზას დასდგომოდენ, რომ გველეშაბისკან თავი ესხნათ...

ერუ სოფელი გამოფხიზლდა.

სწორედ ასეთი იყო ჩვენი ცხოვრება ამ დღე—დღესათის წლის წინად: ერუ, რწმენა-გამქრალი, მიზან გაურკვეველი, შურ-ღვარძლახნი, გაბედულებული...

და ვითარცა მხე-ქალი, ღვანწლ-მოსიდა დედა, ჩვენი სტენის დამსახურებულ სხვა მუშაკებთან ერთად, მოკვდინე სამშობლო სტენას და ზენახარის, ბუნებითი ნიჭით, ხან მდურვან-მხიდებით, ხან დაცინვან-გაკიდევით, ჩვენთა მანკიერებათა მესარკეობით, მოგვითხრობდი ხელაფნების გამტაც, გრძნობის გამოფაქსებულ და სულის დამატკობებულ ღამაზ ზღაპრებს...

და, აჰა, შენმა ჭადრა-ზღაპრებმა — შენმა ხელაფნებამ უქმად არ ჩაიარა: დღეს შეკრებილი ქართველი ერის შეიღნი, რომელთა გათვითნობიერებაში

შენც არა ნაკლები დეაწლი მივიძღვის, როგორც სტენის ჭეშმარიტ ქურუმს, და მისი თანამომე მუხობდენი შენს ამაგს დღესასწაულბენ...

მაგრამ ეს დღესასწაული მარტო შენ არ გაკუთვნის, როგორც მსახიობს!.. არა, ეს დღესასწაულია ქართველი ქალისა, რომელიც უკვე ებმის ჩვენი ერის აღორძინების ფერხულში...

ყურნალი „თეატრი და ცხობრება“ გილოცავს, როგორც შენ, ისე ეგელა ქართულ ქალს ამ ბრწვინვალე დღესასწაულს... შენ გისურვებს, კიდევ მრავალ წელს დაგემშვენებინოს სამშობლო სტენა, ხოლო ქართულ ქალს—უფრო შეგებით და თავგამოდებით ჩემუდიყოს სამშობლო ქვეყნის აღორძინების საქმეში...

და მაშინ ჩვენი „ერუ სოფელიც“—ჩვენი ქვეყნა შეგებით ამოისუნთქებს...

გაუმარჯოს შენს შრომას!..

იოსებ იმედაშვილი



სახლობლო სახლში 29/1 სახ. წარმ. მმართ. წრემ, კ. შათირიშვილის რეჟისორბობით წარმოადგინა კომედ. „მელანჩაის თინები“, რომლის შინაჯარისა და კომიკურ სახეების მთლიანობა ხალხში დაუსრულბებელ სიტუბობისა და მხიარულბების განცდას იწვევს. პირფონებათა ჭროფონი შეთანხნება სსსიამოფნო იყო მით უფრო, რომ მათ განსახების დროს თვით შემსრულბებელიც შეხმატბილბებუდიფუნენ. ნ. გოცირიძე (მედრობე ზავლე) იმდენად ბუნებრივი მხატვრობით და სიმარტივით მოქმედბდა, რომ ჩიბუნის წვეის დროსაც, როდესაც ნადაზარკვევის გარჩევა თითქმის შეუძლბებელი იყო, განსახების მადალ სიფხურს აღწევდა და იმ სელამოს ტენტრად ისახებოდა. მასთანავე კარგი იყო ქ. ჭავჯანიშვილი (მელანია). არ ვიტყვი—იგი ამ როლის სიუკეთესა ამსრულბებლბა მეთქი, მაგრამ მის მიერ შექმნილი ხატბებც თვალსინინო იყო. ამ თრ პირფონებან ბ ბ. რომანიშვილი (ყასაბი არუწა) და მინდაიშვილი (მოდინის უფროსი) ბუნებრიობის სიუხვით ხელს უწვობდნენ. დანარჩენ მობქ-

მედლთა (ანკარა, თოიძე, სვანელი, ივერელი, ნინიძე და გიორკაძე) სახეებიც რეჟისორ კ. შათირიშვილის კარგი ცოდნის გამომყავნებელი იყვნენ; ხოლო არ შეგვიძლიან აღუნიშვნელად დესტროფთ შეცდომა სტენარეუსისა, რომელმაც პირველ მოქმედბება შეჯანია ადრე შემოუშვა. წარმოდგენას აუარბებელი ხალხი დაესწრო.

მიშო

ქართველ მუშა მგალბებელ-მომდერადლთა გუნდმა მ. კავსადის ლობბარბობით სსხ. სახლში კვირას 31/1, გამართა კონცერტი, რომელმაც აუარბებელი ხალხი დაესწრო. კონცერტის დაწვებამდე ლობბარბა მ. კავსადემ წაიკითხა თვისი მოხსენება „ქართული მუსიკა“ (სიმღერა-გალობა), რომელშიაც ბევრი მწვავე სიმართლე გამოამყდავნა. (ეს მოხსენება ჩვენის ყურნალის მახლობელ ნომერში დაიბეჭდბება). გუნდმა იმდერა ქართლ-კახურ-იმერულ-გურულ-მეტრული და სხვ. კილას სიმღერბები; ზოგირთ სიმღერის შესრულბას ეხნევა სწორედ ის ნაკლი, რომელიც თვით ლობბარბა აღნიშნა—ე. ი. ქართული სიმღერის ბუნების შესრევა, გადაგვარბება; საერთოდ კონცერტმა კარგი შთაბეჭდილბა მოახდინა ხალხზე, განსაკუთრბობთ უკანასკნელმა განყოფილბებამ, რომელშიაც გლეხურად გამოწვობილმა მომდერლბებმა ხალხური სიმღერბები გავსმინეს. აქ აგონესდა ჩვენი დღევანდელი სოფელი; საუცხოო იყო ვანო უსტიანიშვილის მიერ თანდურზე დამდერბება—(ამ დექის მომავალ ნომერში დავბეჭდვთ); დამსწრებბმა რამდენიმე სიმღერა გაამეორბინს.

გუნდი შედგენილია სხვა და სხვა კუთხის და დარგის მუშათაკან. მეტი დრო რომ ქქინდყო ლობბარბსა და გუნდის მოანწილბეთ, აღბად უფრო უკეთესი იქნებოდა მათი ნაშრომი.

დღაწლი მათი კი ფრიად სავატია: ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხის შვილთ ერთად უკრიან თავს, მათს სულის შემონაქმედს ერთ მთელად აზავებენ და თვით ხალხს საკუთარ მშობლიურ ხალხურ მუსიკას აზიარბებენ...

სასურველია გუნდს საშუალბა მიეტვს, რომ სიქართველოს სხვა და სხვა კუთხესაც ასმინოს მშობლიური ხმები, რა თქმა უნდა—რჩეულ სიმღერბებისა. ხსენბებულ სელამოს რამდენიმე სახლი სიმღერაც იმდერეს.

უსავანო

„განათლებლის“ სკოლამ კვირას, 31/I, გამართა აკაკის საღამო, რომელშიაც განსაკუთრებით ამავე სკოლის მოწაფე-ქალნი მონაწილეობდნენ. ბინდით მოცულს ჩვენს ცხოვრებაში სწორედ ბრწყინვალე მომავლის ცისარტყელას მოვადგინებთ ამ ქალთა სკოლის საზოგადოების მოღვაწეობა. მოხსენება აკაკის შესახებ წაიკითხა IV კლ. მოწაფე ქალმა ა. კანდელაკმა, იმავე კლასის მოწაფე ქალმა იაშვილმა წაიკითხა „აკაკის ხსოვნას“, აკაკის ლექსები წაიკითხეს და იმღერეს (სვანიძის კლავირით) მოწაფე-ქალებმა, მათვე დასდგეს „პატარა კახის“ I მოქ. ზოგიერთმა მოწაფე-ქალმა არტისტული ნიჭიც გამოიჩინა: შეგნება, შესაფერი მიმოხვრა, ქეშმარიტი განცდა—არა ყალბი გრძნობიერება,—თი რა ახასიათებდა მათ. ზოგიერთი სიმღერა (მაგ. „რენო“) შეუფერებლად მიგვაჩნია ასეთ საღამოებზე. სკოლა გაქედილი იყო სტუმრებით. დაესწრო ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვიც. საზოგადოება დიდად კმაყოფილი დაიშალა. საღამოს პროგრამის ფურცლები დახატულ-დაწერილი იყო მოწაფე ქალთაგან, დეკორაციები—ლ. გუდიაშვილის მიერ.

მუსულმანთა საღამო მუსულ. ქალ-ვაჟთა საქველ-მოქმედო საზ-ის სასარგებლოდ გაიმართა „ახალ კლუბში“. თათრულად წარმოადგინეს „არშინ მალალან“-ის მე-2-ე მოქ., შემდეგ გაიმართა ლექური და სალიტერატურო-სამუსიკო ნაწილი. საღამოს დიასახლისობდა პრინცესა ყაჯარი, გამგებდა ვეკილოვი, დაესწრო დიდძალი საზოგადოება და კარგი შემოსავალიც ჰქონდათ. ქართველი ქალნი დიდად უწყობდნენ ხელს საღამოს რიგიანად ჩატარებას.

მლ. ჩიკაძევიშვილის 30 წ. მოღვაწეობის დღესაწაული სახაზ. თეატრში 2/2 ნამდვილი დღესასწაული იყო: რიგიანად დადგმული პიესები („დაქც. ოჯ.“, „ორი ობოლი“ და „გლახა ქრიაშვილი“), საზოგადოებით გაქედილი თეატრი და, რაც უფრო საყურადღებოა, ზომიერი და გონიერი მილოცვები. იშვიათად გვინახავს ასე შეფერებული და მოკლე მილოცვები. მოდღესასწაულე სცენაზე გამოიყვანეს მხცოვანმა მსახ. მ. ს. აბაშიძისა, კ. ყიფიანმა და სხ. მიულოცეს: მსახიობთა მხრით—ვ. აბაშიძემ, ქართ. დრ. საზ. ი. გედევანიშვილმა, რუსებმა, სომეხებმა, თათრებმა (ბაქოს „ნიჯათის“ საზ-ბამ), სახ სახლმა, ნაძალადევის თეატრმა, ნოქრებმა (ი. მენთეშაშვილმა, რ. ჯიბლაძემ და სხ.) ვაჭრებმა (ამ. ტურიაშვილმა—ფული), სომეხთა დრამატურგმა შირვანზადემ, მსახიობმა აბელიანმა, საღმრთაწაული კომიტეტმა (არტ. მ. ახნაზაროვმა), ჟურ. „ჯეჯილი“, „თეატრი და ცხოვრებამ“ გორის მშრომელთ და სხ. ზოგიერთ სიტყვას შემდეგ დაგებტდავთ. მიაართეს საჩუქრები.

„ახალ კლუბში“ ქართ. დრამ. დასი ყოველ ხუთშაბათობით მართავს ქართულ წარმოდგენებს, რომელთაც მუდამ ბლომა საზოგადოება ესწრება. გასულ კვირებში დასდგეს „პირველი ბუზი“, „სიძე-სიმამრი“ და სხ.

ხარზუხის კლუბი უკვე თავის საზამთრო შენობაში გადავიდა და მოქმედება დაიწყო.

ქართ. ოპერის ამხანაგობამ მესამედ (ხოლო „ახ. კლ.“ სცენაზე პირველი) წარმოადგინა ოპ. „რიგოლეტო“. საზოგადოთ მუსიკის და კერძოდ ამ ოპერის შესახებ უკვე გამოვთქვით ჩვენი აზრი, ახლა კი განმეორებით იმას ვიტყვით, რომ თუმცა ოპ. „რიგოლეტო“, მათ მიერ დადგმული, სრულ ქმნილი არ არის, ნაკლი აქვს (მონაწილენი უმეტესად რუსნი არიან, ანუ უცხო ჰანგებით აღზრდილნი), მაინც საყურადღებო ნაბიჯია და იმის მომასწავებელია, რომ ქართველ საზოგადოებას სწყურია ოპერა, მხოლოდ მშობლიურ ნიდაგზე აღმოცენილი. ქართველ კომპოზიტორთა ვალია, ამ მოვლენას ანგარიში გაუწიონ. —ლი

ბაქოს ქართული საღამო წ. კ. ბ. მ. სასარგებლოთ გაიმართა შაბათს, 16/I, საზოგადო საკრებულოს დარბაზში. საზოგადო ასეთ საღამოებს, თუ კი მინაარსიანათა მოწყობილი, დიდი მნიშვნელობა აქვს. მზე მიდიან სხვა და სხვა ეროვნებებიდან, რომ გაეცნონ და დააფანონ იმ ერის სულიერი და კულტურულ შემოქმედებათა ნაყოფი, რომლის სახელითაც იმართება საღამო... ამ მხრივ საანგარიშო საღამომ ვერ დაგვაკმაყოფილა. განა I მოქმედ. ვოდ. „უბედურ დღეს“, ქ-ქილარჯიშვილისა და ბ. ზარდალიშვილის მიერ წაკითხულ თითო ლექსს და ბოლოს სოფლის ცხოვრებიდან დადგმულ სურათს „დღევანდს“ შეეძლო ეროვნული ელფერი მიეცა საღამოსთვის? საკვირველია რატომ არ ისარგებლეს შემთხვევით აქ მყოფი ბ. კ. ფოცხვერაშვილით? მართალია ამ საღამოს ის დანიშნულება ჰქონდა, რომ შემოსავალი დარჩენილიყო, რომელიც აძლიერებს განყოფილების ნივთიერ მხარეს ყოველ წლივ და მით ქართულ სკოლის საქმეს წინ სწევს, მაგრამ არც პირველი დანიშნულება უნდა დაეტოვებინათ უყურადღებოდ. საღამოს ქართველი საზოგადოება ნაკლებ დაესწრო. შემოსავალი ათი ათასამდეა.

სან-ქან

დ. ხაშურიში შაბათს, 30/I ხაშ. ქართ. დრამ. წრემ დასდგა ირეთელის „სოფლის გმირები“, ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოღებული. პიესაში მონაწილეობდნენ საუკეთესო ძალები და პიესა ჩინებულის ანსაშლით ჩატარეს. ძველ მოთამაშეებზე, როგორებიც არიან: ალ. კორძია, მ. კვალიაშვილი, ალ. ქუთათელაძე, ს. დედარიანი, დ. სხილაძე, ს. პაპუნაშვილი და სხვ. არაფერს ვიტყვი აქ, რადგან ხსენებულმა სცენის მოყვარებებმა კარგა ხანია დაიმსახურეს მასწავლებლის ყურადღება, როგორათაც ნიჭიერმა და სინიდიხიერმა მუშაკებმა სცენისა. მხოლოდ არ შეიძლება უყურადღებოთ დავსტოვოთ ქ-ნ კუმბურდის, რომელიც პირველად გამოვიდა ხაშ. სცენაზე და ანიკოზ როლი სრულის სიმძლავრით და დრამატულის ელფერებით განასახიერა. თუ რომ ამ პატივცემულმა ქალმა განაგრძო მუშაობა ხაშურის სცენაზე, წრეს მიე-

მატება ისეთი ძალა, რომ თავისუფლად შესძლებს ისეთი შინაარსიანი პიესების დადგმას, რომელთაც უქალობისა გამო ვერ ახერხებს სწორად. ეტყობოდა რეჟისორის ხელი და მუშაობა. საზოგადოება კმაყოფილი გავიდა თეატრიდან. ამ მოკლე ხანში დასდგამენ: „მარუჩას“ და „გაზაფხულის ნიაღვარს“. ქართულ წარმოდგენებს ხალხი ბლომად ესწრება. ამიტომ საჭიროა მაყურებელს, რაც კი შეიძლება შინაარსიან და გასაგები რეპერტუარით გაუმასპინძლდნენ ხოლმე. ნიკო გურული

ფოტინე და მარინე

(გურული სცენა)

— გამარჯობა, მარინე!
 — ღმერთმა გაცოცხლოს, ჩემო დაიე.
 — სა იყავი. ცავე? გუშინ-ღამე გამევიარე და გამოტკეცილ-იყო წი-კარი.

— სა ვიყავი ბეჩა-და— „ნახალოვკი“-ს ტეატრში მე და ჩემი კაძახი! მარა იქინე წასვლას შინ პრასა მეჭამა არ მერჩია?! შეგედით შით.. დეიწყო წარმოდგენა, მარა რაი წინ წამორდგენა—უკან ჩხუბი, მარჯვნივ ქართული გინება, მარცხნივ—რუსული გინება... კალთაში ბაღანეს ქყავილი, კარებში—უშველებელი ბრაგა ბრუგი!.. მაი კილო აფერი! ვეღანვარ აგერ ჩემთვის! უბიძგა ვინცხამ ჩემ სკამს და აი უშველებელი დედაკაცი ქი არ გამაგორა ხაბურზაკივით?! ამიზა გაკუქდა ჩემი კაძახი. რაფერი უწყსობა ყოფილა აქანევო, დეილაპარიკა! ამის თქმამი და—წამოხთა ვ ნცხა ყახირალი... წუუქირა კისერში... გაათრიეს გარე და ისტე მობრიგვეს, ისტე, რომე მას მერე ფაფის მეტი აფერი უქამია...

— ავა, რომ ჩიოდენ ამ „სიზონში“ კაი წესრიგი იქნებოა, ტყუილი შეიქნა?!

— ვოი! ისტე ამოუფშუტავს თვალს თავარ-ანგელოზი იქოურ სცენის-მოყვარებს და გამგეობას, რავალც იქინე აფერი წესრიგი არ იყოს..

ალი-ძამია

წვრილი აბგებები

◆ **ბ. ბჰელიშვილი**, ნაფიცი ვეჟილი, ქართულ-რუსულ ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელი, 3 თებ. უცებ გარდაიცვალა.

◆ **გარდაიცვალა** სახალხო მწერალი ლ. გუბელი (ლუკა თათეიშვილი), ავტორი „სიყვარულისა“, „დავით და კონსტანტინესი“ და სხ.

◆ **შიომ მღვიმელის** დილა გაიმართება 14 თებერ „სახაზინო თეატრში“.

◆ **ქართველმა მხროვნებამ** ნათან დაე. ელიაშვილმა ძველი ებრაულიდან ქართულად სთარგმნა: 1) „სახა ვივაში“, ისტ. ტრაგ. 4 მოქ. მსაჯულთა დროიდან, დოქ ლ. მეკლერისა; 2) „იძულებულინი“, ისტ. დრ. 1 მოქ., ლ. ელიაშვილისა.

◆ **მომღ. კ. ს. ცხომელიძის** თაოსნობით ქართ ოპერის ამხ-ბა ამხადებს ქართულად დასადგმულად „ტრავიატა“-ს (თარ. კ. დოდაშვილისა).

◆ **მგოსანი ს. აბაშვილი** ეს მგორე კვირა ავადაა და ლოგინში წევს.

◆ **ალ. ჩიკაძე-ვიშნიის** სადღესასწაულო წარმოდგენას გამართავენ ქუთაისის დასი (ქუთაისში). სახალხო სახლი, ხარფუხის კლუბი და სხ.

◆ **მღ. პ. კარგალაშვილს** შეუკრებნია და გადაუღია ქართული ეროვნული სიმღერა-საგალობელნი. საჭიროა გამომცემელი.

◆ **მ. ურუშაძე** ყვირილის კლუბში სამხატვრო ნაწილის გამგედ მიუწვევიათ.

◆ **მომღ. ე. ლორთქიფანიძე** 12 თებ. „არტ. თეატრის“ დარბაზში კონცერტს გამართავს.

◆ **ქართული კონცერტი** ალ. მაისურაძის ლოტბარობით გაიმართება დღეს, 7 თებ., სახალხო სახლში.

◆ **ქართველი დრ. დასი** ხვალ 8 თებ. სახალხო სახლში სდგავს სოფოკლეს ცნობილ ანტიურ ტრაგედიას „ოიდიპოს მეფე“-ს, რეინჰარტის მიზანსცენებით.

მალღობის გამოსცხადება

ბ-ნო რ-რო! უღრმეს მადლობას უცხადებთ სტეფანე ივანეს ძე კუპრეიშვილს, რომელმაც შემოსწირა ს. გეჯეთის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ ერთი წლით. გამგეობა

მწიგნობრობა

◆ „**მშური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს**“, აპ. წულაძისა, დაწერილია მდაბიო; სასაუბრო, ყველასათვის გასაგები ენით. წიგნში მოყვანილია ზოგიერთ ქართულ ჟურ. გაზეთებში დაბეჭდილი წერილები და ლექსები ქართველ მუსულმანთა შესახებ; წიგნი შემკულია მრავალი სურათით (იმ პირთა, რომელთაც ქართ. მუსულ. შესახებ დაუწერია, ანუ უზრუნია რამ). შეიცავს 176 გვ. და ღირს 60 კ. ამ უქაღალდეობაში ეს ფასი დიდი არ არის და სასურველია მისი გაგრცელება, მით უმეტეს, რომ „ამ წიგნის მთელი შემოსავალი გადაეცემა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას“.

◆ „**მდიდარი მშრადები** ანუ ემიას მოცილენი“, ან. განჯისკარელის რამდენიმე ლექსი, ცალკე წიგნად გამოვიდა, 16 გვ. 10 კ.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

სახალხო სახლი

ორშაბათს, 8 თებერვს, ქართ. დრამ. საზ-ის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება სოფთკლეს ცნობილი ტრადიციული

ოიდიპოს მეფე

მოწვეულიენი: ქანი: აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., თოიძე ნ., ქიქოძე ა., ჯავახიშვილი ნ., ბანი ვ., გუნია, გომელაური ზ., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., იშხელი გ., მამფორია ი., მგალობლიშვილი დ., ყიფიძე ი. სარაული მ., ვარმარიძე ვ.

ადგილების ფასი 2 მან. — 1 მან. 50 კ-დე.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

რეჟისორი ანდრონიკაშვილი

შემდეგი წარმოდგენა „მადამ-სანჟენ“

სახალხო სახლი

კვირას 21 თებერვალს 1916 წ. დილით
ლ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით

ბაიყუფი

ფარსი 2 მოქმედ. ცაგარლისა.
მონაწილეობენ: მარგველაშვილი, ბ-ბ. გოციორიძე, იშხელი, ჯავახური, რამიზაშვილი, და სხ.

კონსერვ. განყოფ.

მონაწილეობენ: ინაშვილი, ჯაჯანაშვილი, დიმიტრაშვილი, ჯაბადარი, გრიშაშვილი, ჩუბინოვი და სხ.

დასაკვრელ ღვეკური ცნობილ მოღვთა მოწვეულებით.

დასაწყისი დილით 12 საათზე.

ადგილების ფასი 2 მან. 40 კაბ.

ობილეთები იყიდება ძმურ ნუგეშში.

გამგე ჯავახიშვილისა რეჟისორი გოციორიძე.

განათლება

სამეცნიერო-მედიკალური და სალიტერატურო ჟურნალი (წელიწადი შედგება).

წლიურად ჟურნალი 5 მ. ტომისში 4 მ. გაცხადებით ედიდება. ხელის-მოწყობით სოფლის სკოლის მასწავლებლებს, სახალხო სამკითხველოებს, საშუალო სკოლის მოწაფეებს, სტუდენტებს, მუ-ჟურნალი დაეთმობათ შეს 3 მ. 50 კ.

ცაღკე ნომერი ჟურნალის ედიდება 50 კაბ. რეაქცია სთხოვს ხელის მოწყობას დრამა დაიკეთონ ჟურნალი. მისამართი: Тифлисъ. Дворянская Грузия, Гимназия Л. Б. Вощадзе. 1233 რედაქ.-კამბრ. ლ. გ. ბოცვაძე.

ნაძალადევის თეატრი

კვირას, 7 თებერვალს

წარმოდგენილი იქნება

პრისტინა

ღრ. 4 მოქ 3. ირეთელისა

ეგ. ნინოშვილის მოთხ-ბიდან, მონაწილეობენ: ქქანი: ამირანაშვილი ს. გოგაშვილის, ნ. ინაიძე, ქ. კამკამიძე; ბბ. ვ. ნინიძე, ბ. გელიკევაშვილი, კახინაშვილი, კუდუხუცი ამირანაშვილი, ა. ძაძაძია, ჯადოშვილი, კატიტაძე, სერსეუაძე.

ფასები 10 კ.-30 კ-დე დასაწყისი საღ, 8 საათზე რეჟის. ა. გოგაშვილი, გამ, ქობულაშვილი

სახალხო სახლი

დილით კვირას, 7 თებერ 1916 წ. დილით
თბ. ქართველ მუშათა მომღერალ-მგალობელთა გუნდი ალ. მაისურაძის ლოტბარობით გამართავს ოთხ განყოფილებიან სახალხო

კონსერტს

ადგილების ფასი 4 კ-დან 50 კ-მდე დასაწყისი დილის 12 საათზე. დაწყობილებით პროგრამაში. ბილეთები იყიდება თეატრის კასში.

ფოტოგრაფია ი. ა. სტურუასი

(ვოგზლის ქ. და ყვირილის ქ. № 13)

იღებს ფოტოგრაფიის ფოტოს სურათებს ხელ-მისაწვდენ ფასებში, სუფთად და ხელოვნურად. შენაკვეთ საქმეს ასრულებს დახიზნულ ვადაზე.

ჩვეულებრივ ვასწავლი
ქართულ სიმღერა-გალობას
და ვაზადებ მომღერალ-მგალობლებს მუდმივ გუნდისათვის, რომლის მიწვევა ვკლესიებში და კონცერტებზე, ახალ წვევრების მიღება-ჩაწერა იკითხვთ
მიხვილ ქაფსაქმისთან
(ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სკოლის შენობაში, ორშაბათ., ოთხშაბათ დ-პარასკეობით საღამოს 6-9 ს.-დე). როგორც ახლებს, ისე ძველ ჩვენ გუნდის წევრთ ვთხოვ მომძანდნენ აღნიშნულ დღეებს.
ვასწავლი მუშა ხალხსაც.

სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატებით ვაზეთი ღირს
წლ. 9 მ. 50 კ. ნახ. წლით 5 მ., სამი
თვ. 2 მ. 50 კ. თვით 90 კ.

წლიური ხ. ღის მომწერნი მიიღებენ პრე-
მიას, თსულებას თანამედროვე სოციალ-
ნოლიტიკურ ენოვ. შდგომარ. შესახებ.

თსულების დაწერაში მონ. იღებენ.

კ. აბაშიძე, ი. გუდუნაშვილი, გრ. გველესიანი,
გ. ლასნიშვილი, გ. მაიაშვილი, გ. რცხილაძე,
გ. ქიქოძე, ს. ფირცხალავი, თ. ლლონტი და ა.
ჯავახიანიშვილი.

მისამ.: თბილისი, „სახალხო ფურცლის“ რედ-
აქ., სახალხის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი № 6.

„მეგობარი“ საპოლიტიკო, სალიტერ., ყოველდღიური ვაზეთი

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისთვის

შელიწადში ღირს 9 მან., ნახევარი წლით—5 მან.,
სამი თვით—2 მან. 3 აბაზი., თვეში—18 შაური,
ცალკე ნომერი ყველგან—შაურათ.

წლიური ფასის შემოტ. შეიძლება ნაწილ ნაწილად:
ხელის მოწერის დროს—3 მან. ნახევარი, 1 აპრილის
3 მან. 1 აგვისტოს—2 მან. ნახევარი.

ნახევარი წლის ხელის მოწერალებს შეუძლიათ ორ
ნაწილად შემოიტანონ ფული: პირველად 3 მ., 1 აპ-
რილს—2 მან.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიად

კ. მაიაშვილის ნაწარმების კრებულს.

რედაქციისა და კანტორის მისამართი: ქუთაისი, ივა-
ნოვის ქუჩა, კილაძის სახლი.

მიიღება ხელის მწერა 1916 წ. სალიტერა-
ტურთ, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

„ცხოვრება“ - აკ. რამქელიძე გამომცემი

მანოზ ფანცხავას რედაქტორად. ჟურნალში
საუკეთესო სალიტერატურო ძალები ითანამშრო-
მლებენ წლიურად: 5 მ., ნახევარი წლით 3 მ.,
სამი თვით 1 მ. 50 კ. თვეურად 50 კ. ფულის
გადახდა წაიღ ნაწილათ: შეუქალბთ: ხელის
მოწერის დროს 3 მ., პირველ აბაზას—1 მ. და
პირველ ივნისს 1 მ.

ფული უნდა გამოგიზავნოს ამ მისამართით:
კუთაის, Роману Спирид. Панигава.

თანამედროვე ჟურნი

ვაზეთი ღირს რამგორც თფილისში ისე
პროვინციაში მთელი წლით 8 მან., ნახევარ
წლით 4 მან. 50 კ. ერთი თვით 90 კ.
ვაზეთის ფასიხელის მომწ. წინდაწინ უნდა გადაიხ.
ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფასტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი
ადრესით უნდა გამოგზავნონ: **Тифлисъ, поч.
ящ. № 199 Власію Малакіевичу Бохохадзе.**
თფილისის ხელის მომ. ფული უნდა შემოიტა-
ნონ კანტორა „განათლებაში“ ოლგას ქუჩა, № 6
მომავალ წლის მომწერლებს კანტორა უმორჩილე-
ნად სთხოვს ფული 20 დეკემბრამდე შემოიტანონ.

„განათლება“ ჟურნალ-გაზეთებს კანტორა

კ. თბილისში ოლგას ქუჩა № 6.
გზავნება აგენტებს: „თეატრი და ცხოვ-
რება“, „თან. აზრი“, „რუს. მათრახი“, „საქარ-
თველა“, „Тифлисъскій Листокъ“, „Рус-
ское Слово“, „გორისონი“, კედლას კაქუნდ-
ლები და სხ. და სხ. ქართული წიგნები. ფული
რს წერილები უნდა გამოგიზავნოს შემდეგი ად-
რესით: **Тифлисъ, почтовый ящикъ № 96,
С. Таварткиладзе.**

გამართულია ხელის მოწერა

კიკნა-ფუხველეს

პოემებისა და რჩეული ლექსების კრებულზე,
რომელსაც დაერთვის სურათი, ბიოგრაფია და
დ. ქახრაძის გრიტიკული წერილი. ხელის მო-
წერა შეიძლება ჩვენს რედაქციაში და მიხ. ხერ-
ხელიძესთან: პარკოვსკი ქ. სახ № 27.

ნომრები „პროკრა“

ახლად შეკეთებულა, საუცხოვოდ მოწყო-
ბილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით
ქლაქის შუაგულს, ვორონცოვის ძველთან
ნომრები ოთხი აბაზიდან. ნომრებში საშუა-
რეულო, ცხელი და ცივი წყლით (ღუში და
ანნა). თბ., მიხ. პრ. № 8. ტელ. 13—14 (წ)
სცენის მოყვარე-მუშაკთა საყურადღებოდ:

И. Т. Полумордвиновъ.

Списокъ пьесъ

На грузинскомъ языкѣ,

разрѣш. къ представл. на сцен. Кавк. Края. и. 40 ноп.
Тифлисъ Цензурный Комитетъ